ქ. თბილისი

30 დეკემბერი 2021 წ.

**ბრძანება N 2-98-21**

**შპს ,,აკადემოსის" მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ**

შპს ,,აკადემოსის დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს შპს ,,აკადემოსის" მშობელთან ურთიერთობის დებულება და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

3. ახალი მშობელთან ურთიერთობის დებულების ძალაში შესვლისთანავე მოქმედი მშობელთან ურთიერთობის დებულება გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

4. ბრძანება ძალაში შედის 2022 წლის 01 იანვრიდან;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

**შპს ,,აკადემოსის"**

**დირექტორი** **/თამარ ჩანტლაძე/**

დანართი

დამტკიცებულია

შპს „აკადემოსის"

დირექტორის, თამარ ჩანტლაძის მიერ 30.12.2021

ბრძანება N-2-98-21

# შპს „აკადემოსის"

# მშობელთან ურთიერთობის დებულება

2021

## მუხლი 1. შესავალი

1.1. ნაყოფიერი სასწავლოპროცესისერთ-ერთიმნიშვნელოვანიკომპონენტიმშობელსადასკოლასშორისდამყარებულიკეთილგანწყობაა.

1.2. მასწავლებელიწარმოადგენს მნიშვნელოვან შუალედურრგოლს, რომელიცსკოლასდაოჯახსერთმანეთთანაკავშირებს. მასშეუძლია, კომუნიკაციისსხვადასხვახერხისგამოყენებით, მშობელიჩართოსსასწავლოპროცესშიდათავისმოკავშირედაქციოს.

1.3. პირი შპს ,,აკადემოსის'' (შემდგომში „სკოლა“) მოსწავლის მშობლად/კანონიერ წარმომადგენლად იწოდება მას შემდეგ, რაც მოსწავლე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხება შესაბამის კლასში და გაფორმდება შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება.

## მუხლი 2. მიზნები

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთანურთიერთობის დებულების მიზნებია:

- ✓ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა;
- ✓ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა;
- ✓ მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, აქტივობების და სხვა მიმდინარე მოვლენების თაობაზე;
- ✓ მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე;
- ✓ მოსწავლეთა ხელშეწყობა მასწავლებლებთან, თანატოლებთანდა საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;
- ✓ სასწავლო პროცესის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების ხელშეწყობა;

## მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს წარმოეშობათ ურთიერთვალდებულებები.

**სკოლავალდებულია:**

3.1.1. სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლეუზრუნველყოს სიცოცხლისადაჯანმრთელობისათვისმაქსიმალურადუსაფრთხოგარემოთი;

3.1.2 სისტემატურადაკონტროლოსმოსწავლისსაგაკვეთილო პროცესზე დასწრება;

3.1.3 მიაწოდოსინფორმაციამშობელს/წარმომადგენელსმოსწავლისაკადემიური მოსწრებისადაგაცდენებისშესახებ;

3.1.4 უზრუნველყოს სასწავლო პროცესისეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის მისიის შესაბამისად წარმართვა;

3.1.5 სასწავლო ოთახები აღჭურვოს სასწავლო ინვენტარით, სასწავლო რესურსებით, ტექნიკური და მეთოდური საშუალებებით, რაც აუცილებელია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესრულებისათვის;
3.1.6 იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ და ფიზიკურ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები;
3.1.7 შექმნას ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი გარემო სკოლაში;
3.1.8 მიიღოს ყველა გონივრული ზომა მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით;
3.1.9 მოსწავლეზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზოს შემთხვევა და საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება.
3.1.10 დაიცვას მოსწავლის, მშობლის და სკოლის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემები.

**3.2. სკოლასუფლებააქვს:**
3.2.1 მოსთხოვოსმშობელს/წარმომადგენელსსკოლისშინაგანაწესითდადგენილი ნორმებისდაცვა;
3.2.2 არდაუშვასმშობელი/წარმომადგენელისკოლაშიშინაგანაწესით ნებადართულიმიღებისსაათებისადაგანსაკუთრებულიშემთხვევებისგარდა;
3.2.3 დაითხოვოსმოსწავლედროებითანგარიცხოს(საშუალოსაფეხურისმოსწავლის შემთხვევაში)სკოლისშინაგანაწესითგანსაზღვრულშემთხვევაში;
3.2.4 მოუწოდოს მშობელს/წარმომადგენელს ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში, მიიღოს მონაწილეობა სკოლის ორგანიზებით განხორციელებულ აქტივობებში;

**3.3. მშობელი/წარმომადგენელივალდებულია:**
3.3.1 დაიცვას სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმები;
3.3.2 იყოს კორექტული, საერთო მიზნების მიღწევისთვის ითანამშრომლოს სკოლასთან და შეინარჩუნოს კეთილგანწყობა სკოლისა და მისი თანამშრომლებისმიმართ;
3.3.3 დაიცვას სხვისი პერსონალური მონაცემები, არ გაასაჯაროოს სკოლის შიდა აქტივობები, მიმოწერა სკოლის/კლასის ჯგუფებიდან;
3.3.4 მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიური კავშირი იქონიოს კლასის დამრიგებელთან და სკოლის დირექციასთან;
3.3.5 მოსწავლე სკოლაში გამოუშვას სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული წესის შესაბამისად ჩაცმული, სასწავლო ნივთებით აღჭურვილი; ყურადღება მიაქციოს, რომ არ ატაროს სკოლის შინაგანაწესით აკრძალული ნივთები (სწავლისათვის შეუსაბამო ტექნიკური საშუალებები, ცივი იარაღი და ა.შ. აკრძალული ნივთები  სკოლის შინაგანაწესით არის განსაზღვრული);
3.3.6 დაესწროს სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებებს და სასკოლო აქტივობებს, მათ შორის, მშობელთა კრებებს. მშობელთა კრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებლობის მიზეზი წინასწარ შეატყობინოს კლასის დამრიგებელს;
3.3.7 ნებისმიერი პრობლემა და გაუგებრობა გაარკვიოს მოსწავლის კლასის დამრიგებელთან ან/და სკოლის დირექციასთან;
3.3.8 გადამდები დაავადების შემთხვევაში სკოლაში არ მოიყვანოს მოსწავლე და დამრიგებელს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ;

3.3.9 სიცხის გადამოწმების შემდეგ 37.0C ან 37.0C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში გონივრულ ვადაში გამოცხადდეს სკოლაში მოსწავლის სკოლიდან გასაყვანად და უზრუნველყოს ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან 112-თან დაკავშირება შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად;

3.3.10 არ გააცდენინოს მოსწავლეს სკოლა არასაპატიო მიზეზით. წინასწარ აცნობოს დამრიგებელს მოსალოდნელი გაცდენის შესახებ;

3.3.11 თავი შეიკავოს სკოლის ნებისმიერი მოსწავლის, მშობლის/წარმომადგენლის ან თანამშრომლის შეურაცხყოფისაგან, ასევე, მასწავლებლისა და სკოლის ავტორიტეტის შელახვისაგან;

3.3.12 დაესწროს სკოლის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებს.

3.3.13 აანაზღაუროს მოსწავლის მიერ დაზიანებული სასკოლო ინვენტარის ან ტექნიკის ღირებულება სკოლის დირექციის მოთხოვნის საფუძველზე;

3.3.14 სკოლის დირექციის მოთხოვნისამებრ გამოცხადდეს სკოლაში;

3.3.15 დაესწროს სკოლის მიერ ორგანიზებულ ექსკურსიებსა თუ სხვადასხვა გასვლით ღონისძიებებს და ზედამხედველობა გაუწიოს მოსწავლის ქმედებებს. დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული წინასწარ შეატყობინოს კლასის დამრიგებელს;

3.3.16 შეატყობინოს სკოლას საკონტაქტო ინფორმაციის (საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი) ცვლილების შესახებ;

3.3.17 დაწყებითი კლასების (I-VI) მოსწავლის შემთხვევაში, საგაკვეთილო პროცესის დასრულებისას მოაკითხოს მოსწავლეს წასაყვანად ან აცნობოს განცხადებით დირექტორს მოსწავლის წაყვანაზე უფლებამოსილი პირის შესახებ. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია მშობელმა განცხადებით მიმართოს სკოლის დირექტორს შვილის დამოუკიდებლად სკოლის დატოვების თაობაზე (ამ შემთხვევაში თვითონ იღებს პასუხისმგებლობას ბავშვის დამოუკიდებლად გადაადგილებაზე).

3.3.18 სკოლის ექიმს/დირექციას აცნობოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის, კერძოდ, ქრონიკული/გადამდები დაავადებისა და ალერგიის შესახებ.

3.4 **მშობელს/წარმომადგენელს უფლება აქვს:**

3.4.1 მოითხოვოს სკოლისაგან სასწავლო პროცესის წარმართვა მაღალკვალიფიციურად;

3.4.2 მოითხოვოს სკოლისგან მოსწავლისადმი სამართლიანი, ობიექტური და თავაზიანი დამოკიდებულება;

3.4.3 მოითხოვოს საგნების მიხედვით მოსწავლის ობიექტური შეფასება.

**მუხლი 4. მასწავლებლის/დამრიგებლის ვალდებულებები მშობლებთან ურთიერთობისას:**

მასწავლებელი/დამრიგებელი ვალდებულია:

4.1. დაამყაროს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა;

4.2. შეხვდეს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს დადებითი განწყობით და სათანადო დრო გამოყოს მასთან საუბრისთვის;

4.3. დამრიგებელი ვალდებულია ამ დებულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მიაწოდოს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დადგენილი დროისა და პირობების შესაბამისად;

4.4. დროულად მიაწოდოს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე;

4.5. ხელი შეუწყოს მშობელთა აქტიური ჩართულობას და წაახალისოს სასარგებლო ინიციატივები;

4.6. წინასწარ განსაზღვრული კომუნიკაციის ფორმის შესაბამისად ინტენსიურად ეკონტაქტოს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს;

4.7. მშობელთანურთიერთობისდროს (მიმოწერისასანსაუბრისას) პირველ რიგშიმოსწავლისდადებითიმხარეებისწარმოაჩინოს, და მხოლოდ ამის შემდეგ განიხილოს პრობლემური საკითხები.

4.8. მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვისინფორმაციისმიწოდებისდროსარ დაუშვასმოსწავლისღირსებებისშელახვა, უხეშობა.

4.9. სასწავლოწლისდასაწყისშივემიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლესადამშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლისმიერ გაკვეთილებისგაცდენისშემთხვევაშისავარაუდოშედეგებისშესახებ.

## მუხლი 5. მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი

5.1. მშობელი სკოლაში ცხადდება დირექციის, დამრიგებლის მოწვევით.

5.2. დამრიგებელი სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწყობს შეხვედრას მშობლებთან დისტანციურად ან სკოლაში.

5.3. თუ მშობელი საჭიროდ მიიჩნევს დამატებით რომელიმე საგნის მასწავლებელთან გასაუბრებას, ამ შემთხვევაში დამრიგებელი უზრუნველყოფს მათ შეხვედრას.

## მუხლი 6. მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია

6.1. მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება:

- ✓ მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით);
- ✓ Messenger-ის,Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში;
- ✓ ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით;
- ✓ ყოველდღიური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში;
- ✓ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;
- ✓ ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით;
- ✓ SMS შეტყობინებით;
- ✓ სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, სადაც ყოველდღიურად თავსდება დეტალურად აღწერილი საშინაო დავალებები და მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა).

6.2.საგნისმასწავლებელთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე (მასწავლებელი მშობელთანპირადიურთიერთობისდროს,უფლებამოსილიამშობელსგააცნოსშვილისაკადემიური მოსწრება,მხოლოდიმსასწავლოსაგანშირომელსაცასწავლის);
5.3. მოსწავლისაკადემიურიმოსწრების, პირადიურთიერთობების, დისციპლინისშესახებინფორმაციაკონფიდენციალურიადამისიგანხილვასაჯაროდდაუშვებელია.
მოსწავლისპირადინფორმაციასთანდაკავშირებულსაკითხებზედამრიგებელიანდირექციისწევრი ინდივიდუალურადხვდებამშობელს;

**მუხლი7. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები**

7.1. სკოლისსაქმიანობისადასასწავლო-აღმზრდელობითიმუშაობისშესახებინფორმაციამშობელსმიეწოდებამშობელთაკრებებზეკლასის დამრიგებლისმეშვეობით;
7.2. თითოეულ კლასში მშობელთასავალდებულოკრებატარდებასასწავლოწლისდასაწყისშიდაყოველისემესტრისბოლოს;მშობელთაკრებისათვისყველადამრიგებელი ინდივიდუალურდღისწესრიგსამზადებს, რომელიც სკოლის დირექციასთან უნდა შეათანხმოს.
7.3.მშობელთარიგგარეშეკრებისმოწვევააუცილებლობისშემთხვევაში,შეუძლიაკლასისდამრიგებელსან დირექტორს;
7.4. საგნისმასწავლებელსდირექციასთანანკლასისდამრიგებელთანშეთანხმებითუფლებააქვსგამოიძახოსმშობელი;
7.5. მშობლებთანურთიერთობისფორმასთვითპედაგოგიდადამრიგებელი ირჩევსსიტუაციისშესაბამისად.
7.6. მშობელთანურთიერთობისდროს(მიმოწერისასანსაუბრისას)მოსწავლისდადებითიმხარეებისწარმოჩენითუნდაიწყებოდეს, რასაცშეიძლებასხვადასხვასახისპრობლემებისგანხილვამოჰყვეს.
7.7. მშობლისთვისინფორმაციისმიწოდებისდროსდაუშვებელიამოსწავლისპიროვნულიღირსებებისშელახვა, უხეშობა. შეფასებაუნდაიყოსობიექტური, მრავალმხრივიდააუცილებლადპოზიტიურიდანპრობლემისაკენმიმართული;
7.8. სასწავლოწლისდასაწყისშივეუნდამოხდესმოსწავლისადამშობლისინფორმირებამოსწავლისმიერ გაკვეთილებისგაცდენისშემთხვევაშიმოსალოდნელისავარაუდოშედეგებისშესახებ.
7.9. მშობელი ჩართული უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებაში.

**მუხლი 8. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები**

8.1. სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

ა) მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში;

ბ) შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;

გ) ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;

დ) ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;

ე) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;

ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესი;

ზ) პერსონალური მონაცემების დაცვა;

თ) სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.

8.2. სკოლა სასწავლო პროცესის განახლებამდე მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან,დასწრებით ან ონლაინ ფორმატში, დამრიგებლების მეშვეობით უნდა მოაწყოს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და მიაწოდოს ინფორმაცია**„პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმისა**" და „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების N37 დანართით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2 ) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების შესახებ". აღნიშნული გეგმისა და რეკომენდაციების ფარგლებში სკოლამ მასწავლებლებს, თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებსუნდა ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი და გააცნო წესები.

## მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.

9.2. დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

## რეკომენდაცია #1

**ნაბიჯი 1.** სასწავლო წლის დასაწყისში ერთ კლასში შემსვლელი მასწავლებლები ამზადებენ საერთო პრეზენტაციას, რომელშიც შეიტანენ კათედრების მიერ წინასწარ ერთობლივად შემუშავებულ შეფასების რუბრიკებს, კონკრეტული კრიტერიუმების სახით. აღნიშნულ პრეზენტაციას გამოიყენებენ პირველ მშობელთა კრებაზე, სადაც თითოეული საგნის მასწავლებელი განუმარტავს მშობლებს თავის საგანში შეფასების მთავარ პრინციპებს.

**შენიშვნა:** სასურველია აღნიშნული პრეზენტაცია მშობლებს გადაეგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე.

**ნაბიჯი 2.** ყოველი თვის ბოლოს დამრიგებელი ავსებს სპეციალურ ბლანკს, სადაც მითითებულია მოსწავლის სახელი, გვარი, სასწავლო საგნები და მისი მოსწრებისა და დასწრების შესახებ ინფორმაცია.

ამავე ბლანკში დამრიგებელმა შეიძლება შეიტანიოს ინფორმაცია მოსწავლის სხვადასხვა საქმიანობის შესახებ: მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში, ან დისციპლინური გადაცდომა.

ეს ბლანკი გადაეცემა მშობელს დამრიგებლის მიერ, რაც დასტურდება მშობლის ხელმოწერით.

**იხ. ბლანკის ფორმა**

| N | საგანი | საშინაო და საკლასო დავალებების შეფასება | შემაჯამებელი შეფასება | გაცდენების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |

სხვა საქმიანობა .....

კლასის დამრიგებელი -------

ინფორმაციას გავეცანი ----------

(მშობლის ხელმოწერა და თარიღი)

თუ მშობელი არ მოდის სკოლაში ამ ინფორმაციის მისაღებად, დამრიგებელი ცდილობს მას ეს ინფორმაცია მიაწოდოს სხვა, მის ხელთ არსებული საშუალებებით, უკიდურეს შემთხვევაში, აკითხავს სახლში. დამრიგებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყველა მშობელი, ყოველთვე ინფორმირებულია სკოლაში მისი შვილის საქმიანობის შესახებ.

**შენიშვნა:** დღევანდელი მოცემულობის გათვალისწინებით, როდესაც მშობელს სულ უფრო ცოტა დრო აქვს შვილის სასწავლო პროცესში ჩასართავად, სკოლებში, სადაც არის შესაძლებლობა მშობლებთან ურთიერთობა დამყარდეს ელ.ფოსტის საშუალებით: ყოველთვიური შეტყობინება - ანალოგიური ბლანკი, შევსებული, ყოველთვე ეგზავნება მშობელს მეილზე. მიღებას მშობელი ადასტურებს, საჭიროების შემთხვევაში შეკითხვებით მიმართავს დამრიგებელს ასევე ელექტრონულად. იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი არ ადასტურებს მიღებას, დამრიგებელი უკავშირდება მას ინდივიდუალურად.

## რეკომენდაცია #2

**ნაბიჯი 1.** სასწავლო წლის დასაწყისში თითოეული საგნის მასწავლებელმა პირველი გაკვეთილი დაუთმოს შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების გაცნობას. აღსანიშნავია, რომ მშობლების ინფორმირების მიზნით მომზადებული პრეზენტაციის გამოყენება შესაძლებელია მოსწავლეთა ინფორმირებისთვისაც.

**ნაბიჯი 2**. სასურველია თითოეულ საგანში გამოსაყენებელი რუბრიკები აიკინძოს და განთავსდეს კონკრეტულ კლასში.

**ნაბიჯი 3.** სკოლის გვერდის არსებობის შემთხვევაში სასურველია აღნიშნული რუბრიკები აიტვირთოს და გახდეს ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარისთვის.